ხაშურის მოამბე

№23(396) 19 ივნისი, ორშაბათი, 2023 წელი

საბა ჩილაშვილი ევროპის ჩემპიონია



გნებავთ კალამბურად მიიღეთ ეს, გნებავთ - რეალურ ფაქტად და ხაშური ჭიდაობის მექად ყალიბდება. არა, არც მანამდე აკლდა ჩვენს ქალაქს დიდი წარმატებები,მაგრამ 2023 ისე დაიწყო,ხაშურმა პირდაპირ ქვემეხიდან გაისროლა, თან გასროლა ისე, რომ მსოფლიო და ევროპა შეაზანზარა. აგერ,ჯერ კიდევ ეიფორიიდან ვერ გამოვსულვართ ლუკა მაისურაძისა და ტატო გრიგალაშვილის ტრიუმფის შემდეგ, როდესაც მათ მთელ მსოფლიოს ანახეს რანი ვართ ხაშურლები და სულ რაღაც ერთ თვეში მორიგი დაქუხება: ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, 17 წლამდელთა შორის, საბა ჩილაშვილი ევროპის ჩემპიონ გახდა. თან გახდა ისე, რომ პატარა კითხვის ნიშანიც არ დაუტოვა არავის. ნახევარფინალამდე სულ თამაშ-თამაშით მივიდა. ნახევარფინალში თურქ უკვე ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს ახეხინა ხალიჩა, ფინალში კი რუს მოჭიდავეს არ დაუტოვა არავითარი შანსი - 4:0.

ჩვენს მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ ჯერ კიდევ ერთი თვის უკან გვქონდა ინტერვიუ საბასთან და მაშინ ვწერდით: დაიმახსოვრეთ ეს სახელი, რადგან ამ ბიჭს უდიდესი მომავალი აქვს და მთელ მსოფლიოს კიდევ ბევრჯერ შეახსენებს ჩვენი ქალაქის სახელს. ასე აგიხდეთ ყველაფერი! მოდით, რადგან ასე გარგად დავცადეთ „წინასწარმეტყველება“, კიდევ ერთი ვთქვათ, ღმერთმა ქმას, ესეც „მოვარტყათ“. გაისად საბა 18 წლის ხდება. და არ გინახავთ 18 წლის ოლიმპიური ჩემპიონები? რამდენიც გინდა! ეგებ...

ერთი შეხედვით,ურთულეს ოცნებას ვეპოტინები,მაგრამ ოცნებას ხომ კაცი არ მოუკლავს? თუ არა და პარიზის 2024 წლის ოლიმპიურმა თამაშებმა თუ ჩაგვიარა გვერდზე, 2028 წლისა რომ ნაღდად საბასი იქნება, ეჭვიც არ გვეპარება.

მანამდე კი გვჯერა, საბა ღირსეულად დაიმკვიდრებს ადგილს უფროსთა ნაკრებში და არაერთხელ გაგვახარებს თავისი წარმატებებით.

ვულოცავთ საბას, ვულოცავთ მის შესანიშნავ მწვრთნელს კახა ლომიძეს,ვულოცავთ სასპორტო სკოლას,ვულოცავთ ხაშურს და მთელ საქართველოს!

P.S.ხაშურში უკვე ხუმრობენ, რომ ბოლოდროინდელ ლარის გამყარებაში უდიდესი წვლილი ჩვენს ქალაქს მიუძღვის, რადგან ევროპიდან, მედლების სახით, დიდი რაოდენობის ბაჯაღლო ოქრო შემოიზიდა. თან წლის დასასრულამდე კიდევ 6 თვეა და მათი რაოდენობა კიდევ გაიზრდება.

და ერთიც: თუ კიდევ არიან ისეთები (არადა, არიან), რომლებიც ხაშურზე ქილიკობენ ანდა ხაშური სამყაროს უკიდურეს კიდედ მიაჩნიათ, ძალიან მინდა, ამდენი წარმატებების შემდეგ, როგორმე ერთად შევკრიბო, რომ გულიანად გადავთვალო.

გიორგი გოგოლაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ბილიკს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და „ბილიკის“ აღმასრულებელმა დირექტორმა მარინე მღებრიშვილმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვის გაუმჯობესებისკენ მიმართული ადგილობრივი მუნიციპალური პოლიტიკის ხელშეწყობას.

მემორანდუმზე ხელმოწერას დაესწრნენ მუნიციპალიტეტის შშმ პირთა საბჭოს წევრები. დაისახა ურთიერთთანამშრომლობის კონკრეტული გზები.

ხაშურის მუნიციპალიტეტში ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ მიმართული ყოველწლიური კამპანიის „ნუ წაართმევ ბავშვობას“ მორიგი შეხვედრა გაიმართა

კამპანია „ნუ წაართმევ ბავშვობას“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ხორციელდება. საქართველოს მასშტაბით, ტარდება საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები, რათა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფმა მიიღოს მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიდგომებსა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმების შესახებ.

ნაადრევ ასაკში ქორწინების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა, პრევენცია, მსხვერპლთა მხარდაჭერა და მათ ინტერესებზე მორგებული გამოძიების უზრუნველყოფა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ხაშურის მუნიციპალიტეტში გამართულ შეხვედრას დაესწრნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის,სახელოვნებო და სპორტული ა(ა)იპ-ების,სოციალური სამსახურის წარმომადგენლები.

შეხვედრას, რომელიც დისკუსიის რეჟიმში წარიმართა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლები - სოფიო ჩოხელი და მარიამ ურმაშვილი უძღვებოდნენ.

ა(ა)იპ „კულტურისა და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების“ მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

2022 წელს კულტურის სფეროში განსახორციელებელი პროგრამის მიზანია სახელმწიფო, რელიგიური და სახალხო დღესასწაულების აღნიშვნა, ხოლო პროგრამის ძირითადი მიმართულებებია:

- მარტს - დედის დღის , 9 აპრილს- ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღის,26 მაისს - საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, 1ივნისს-ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის, ახალი წლის და სხვა სახალხო და რელიგიური დღესასწაულების აღსანიშნავი ღონისძიებები.
- სადღესასწაულო ღონიძიებების ორგანიზება
- ფართო მასების და შემოქმედებითი ახალგაზრდობის ჩართვა ღონისძიებებში.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დადებითი განწყობის შექმნა დღესასწაულების მიმართ. უცხო ქვეყნებში ქართული კულტურის პოპულარიზაცია და მათი წარმომადგენლების ინტერესის ზრდა ქართული კულტურის მიმართ. ქართული კულტურისა და მართლმადიდებელი ტრადიციების გაღრმავება.

შეფასების ინდიკატორი:

ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა.

კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა.

კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.

კულტურის სფეროში განსახორციელებელი პროგრამების 2022 წლის ასიგნებები განისაზღვრა 165 500 ლარი.

<u>2022 წლის განსახორციელებელი პროგრამების კულტურული ღონისძიებების ჩამონათვალი:</u>

1. 3-8 მარტს დედათა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება.
2. 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიების მოწყობა.
3. 9 მაისის დიდ სამამულო ომში გამარჯვებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩატარება.
4. 26 მაისის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.
5. ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკისა და საგუნდო რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა.
6. 1 ივნისს - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება.
7. ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის დღესასწაულის ,,ლესიაობის'' ჩატარება.
8. ლიტვაში დაძმობილებულ ქალაქ რადვილისკში დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა.
9. ლატვიაში დაძმობილებულ ქალაქ ბაუსკაში დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა.
10. პოლონეთი, დაძმობილებულ ქალაქ ტარნოვში, დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა.
11. პოლონეთი, დაძმობილებულ ქალაქ შრემში, დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა.
12. შვედეთში, ქალაქ ჰედემორაში, ქალაქის დღესასწაულში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა.
13. 27 სექტემბერი აფხაზეთის დაცემის დღე.
14. სახალხო დღესასწაული „ხაშურ ქალაქობა 2022'' ჩატარების ორგანიზება.
15. ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები.
16. ქართული შოუ ბიზნესის წარმომადგენლების მონაწილეობით კონცერტის უზრუნველყოფა.
17. 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველო-რუსეთის, ომის ხსოვნის კვირეულთან დაკავშირებული ღონისძიების ორგანიზება.
18. 5 ოქტომბრის მასწავლებლის დღის აღსანიშნავი ღონისძიების ორგანიზება.
19. შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება
20. სხვადასხვა დონის დაუგეგმავი კულტურული ღონისძიებების ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში ფასიანი საჩუქრების გადაცემა

ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ძირითადი მიმართულებებია:

ხელოვნების სხადახვა ჟანრის პოპულარიზაცია.

- მოსწავლე ახალგაზრდონის დაინტერესება ხელოვნების დარგებით.
- სასწავლო პროცესების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი წრეების ფუნქციონირების უზრუნველყოფა.
- მოსწავლეთა ნიჭის თვითრეალიზებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა.
- შემოქმედი ბავშვების მიერ ხალხური ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა-პოპულარიზაცია.
- ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების პოპულარიზაცია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შემოქმედი ბავშვებისათვის.
- შემოქმედი ბავშვებისათვის გართობისა და დასვენების სათანადო ბაზის შექმნა.
- შემოქმედი ბავშებისათვის და ასევე მათი მონაწილეობით მასობრივი ღონიძიებების გამართვაში ხელშეწყობა.
- შემოქმედი ბავშვებისათვის სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში ხელშეწყობა.
- ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენა, მათი ხელშეწობა და წახალისება.
- თანამედროვე მუსიკის კონცერტების მოწყობა.
- ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა.
- კულტურული და საგანმანათლებლო დონის ამაღლება.
- გაცვლითი კულტურული პროგრამების ორგანიზების ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

ხელოვნების დარგების,აგრეთვე ქართული ფოკლორის განვითარებადა პოპულარიზაცია; მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების განვითარება და ხელოვნებით დაინტერესებულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის ზრდა; ახალგაზრდობის ჩამოშორება ქუჩის მავნე ჩვევებისაგან ,მათი გემოვნების დახვეწა და ინტელექტუალური შესაძლებლობების ამაღლება.

შეფასების ინდიკატორი:

ჩატარებული კულტურული ღონიშძიებების რაოდენობა.

კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა.

საგანმანათლებლო სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლე ახალგაზდობის რაოდენობა.

შემოქმედი ბავშვების მიერ ორგანიზებული პროექტების რაოდენობა. კმაყოფილი მოსახლეობა.

2022 წლის ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 358 400 ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტობრივად ხელოვნების განვითარების ხელშეწობის პროგრამის განსახორციელებლად გაიხარჯა 357 860, 04 ლარი.

კულტურისა და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება - თოჯინების თეატრი.

2022 წლის ღონისძიებების ჩამონათვალი.

1. თოჯინების თეატრის სპექტაკლის პრემიერა „ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი''- 6 მაისი.
2. მაისის თვე - თოჯინების თეატრის სპექტაკლების ჩვენებები.
3. 12 – 15 მაისი ბათუმის ტურიზმის და სასტუმრო აღჭურვილობის მე-13 საერთაშორისო გამოფენა.
4. 18,19,20 მაისი - კლასიკური, ტრადიციული და თანამედროვე ხელონების X ფესტივალი-დელფიადა.
5. 26 მაისი - დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი.
6. 31 მაისი - ფილმის ჩვენება „ადამ, სადა ხარ?''
7. 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი კულტურისა და დასვენების პარკში, თოჯინების თეატრის სპექტაკლის ჩვენება-„ოქროს წიწილა“.
8. 9 ივნისი - ეროვნული ფესტივალი -ხაშურის ტური.
9. 15 ივნისი - ხალხური სიმღერის გუნდ“ქართლის“ საჩვენებელი კონცერტი.
10. 23 ივნისი - ქორეოგრაფიულ ანსამბლ“ფრესკის“ საჩვენებელი კონცერტი.
11. 27 ივნისი - ტაშისკრის ბრძოლის 413-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი ,,საკაძეობა''.
12. 28 ივნისი - ახალგაზრდული თეატრის დასის სპექტაკლი.
13. 10-17ივლისი თოჯინების თეატრის დასის მონაწილეობა ფესტივალზე ,,ნარინჯისფერი ქობულეთი''.
14. 19 ივლისი - თოჯინების თეატრის სპექტაკლების ჩვენება საკურორტო ზონაში, კერძოდ სურამში.
15. 15 სექტემბერი - თოჯინების თეატრის მინი სპექტაკლი ხაშურის მე-3 საჯარო სკოლის პირველკლასელთათვის.
16. 23 ოქტომბერი - ,,ხაშურქალაქობა 2022'' მონაწილეობის მიღება.
17. 25 ოქტომბერი - თოჯინების თეატრის სპექტაკლების ჩვენება, ,,სატკბილეთის ქვეყანა''.
18. 19,20,21 ოქტომბერი - მხიარულთა და საზრიანთა გუნდების სასკოლოთაშორისო შეხვედრები.
19. 7,8,9 ნოემბერი - მხიარულთა და საზრიანთა გუნდების შეხვედრის ნახევარფინალი.
20. 18 ნოემბერი - მხიარულთა და საზრიანთა გუნდების შეხვედრის ფინალი.
21. 2 დეკემბერი - თოჯინების თეატრის სპექტაკლის „სატკბილეთის ვეყანა'' ჩვენება მრავალშვილიან მამებს. ,,გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში''.
22. 22 – 29 დეკემბერი საახალწლო ზეიმი „ყინულის დედოფალი''.

<u>ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის 2022 წლის ღონისძიებების ჩამონათვალი.</u>

1. 3 იანვარი - საახალწლო კონცერტი ,,2022- იმედის წელი“.
2. 2 თებერვალი - წიგნის საჯარო კითხვის საერთაშორისო დღე-მონაწილეობის მიღება.
3. 4 – 8 მარტი დედის დღისადმი მიძღვნილი ონლაინ კვირეულში მონაწილეობის მიღება.
4. 4 მარტი- ნახატების გამოფენა ,,სოლოდარობა უკრაინას“.
5. 14 აპრილი - ონლაინ გაკვეთილი“ ენა დედაა ერისა“.
6. 14 აპრილი - დედაენის დღისადმი მიძღვნილი გაკვეთილი „ო ენავ ჩემო“
7. 13 მაისი - ევროპული დღეები-2022.
8. 18 მაისი - კლასიკური, ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ფესტივალში ვოკალური და ქორეოგრაფ ანსამბლ. მონაწილეობა.
9. 25 მაისი - ხატვის წრის გამოფენა“ცხოვრება ხანმოკლე, ხელოვნება მარადიული“.
10. 26 მაისი - ვოკალურ ქორეოგრ.ანსამლ, ხატვის,თექის წრის წევრთა ნამუშევრების გამოფენა-დამოუკიდებელი დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე.
11. 8 ივნისი - ქარგვის წრის წევრების გამოფენა- ''მე ვქმნი ამ სილამაზეს''.
12. 9 ივნისი -საქართველოს ფოლკლორული ეროვნული ფესტივალი-2022წელი.
13. 13 ივნისი- პოეზიის საათი- ვკითხულობთ ტარიელ ხარხელაურის შემოქმედებას.
14. 15 ივნისი - ხატვის და ქარგვის წრის წევრების შემაჯამებელი გამოფენა.
15. 16 ივნისი - ცეკვის და სიმღერის წრის წევრების კონცერტი- ,,ჩვენი საქართველო აქ არის“.
16. 20 ივნისი - მკითხვ. კლუბის წევრები- შეხვედრა ავტორთან- თაკო შუკაკიძე.
17. 23 ოქტომბერი - მონაწილეობის მიღება ,,ხაშურქალაქობა 2022''.
18. 14-ნოემბერი მხატვრული კითხვის და შემოქმედთა წრის წევრებმა აღნიშნეს ტოლერანტობის საერთაშორისო დღე.
19. 23 ნოემბერი - გიორგობის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს ისტორიის და რელიგიის შემსწავლელი წრის მოსწავლეებმა აღნიშნეს გიორგობა.
20. 25 ნოენბერი - მკითხველთა კლუბის წევრებმა აღნიშნეს ქალების წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე.
21. 30 ნოემბერი -,, შემოდგომის დღესასწაული''.
22. 25ნოემბერი - 8 დეკემბერი 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, კონკურსი საუკეთესო მოთხრობა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ.
23. 16 დეკემბერი - მხატვრული კითხვის და ნორჩ შემოქმედთა წრის ინიციატივით ჩატარდა მხატვრული კითხვის კონკურსი ,,გვიყვარს პოეზია''.
24. 16 დეკემბერი - ცეკვის წრის წევრებმა და ცეკვის წრის ხელმძღვანელმა გიგა ქალიაშვილმა ჩაატარეს ღია გაკვეთილი ,,ქართული სული''.
25. 19 დეკემბერი - ,,სტუმრად საკრებულოში'' თვითმმართველობის კლუბის წევრების შეხვედრა საკრებულოს წევრებთან.
26. 23 დეკემბერი - ჭადრაკის წრის მიერ ჩატარდა ღია გაკვეთილი: ,,როგორ ვითამაშოთ ჭადრაკი“.
27. 23 დეკემბერი - ხატვის წრის წევრებმა მოაწყვეს გამოფენა ,,ხელოვნება ჩვენშია, მთავარია ის აღმოაჩინო''.
28. 24 დეკემბერი - ჭადრაკის წრის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწყობილ მოსწავლეთა შორის წინა საახალწლო პირველობის საჭადრაკო ტურნირში.
29. 24 დეკემბერი - თვითმართველობის კლუბის წევრებმა ჩაატარეს ,,საახალწლო მეჯლისი''.
30. 28 დეკემბერი - ქარგვის წრის წევრებმა ჩაატარეს ღია გაკვეთილი ,,საახალწლო აქსესუარები''.
31. 29 დეკემბერი - საახალწლო კონცერტი ,,მრავალჟამიერ საქართველო,მრავალჟამიერ''.

<u>სურამის კულტურის ცენტრის 2022 წლის ღონისძიებების ჩამონათვალი</u>

1. იანვრის თვე- ფესტივალი „ფანტელები“ მონაწილეობის მიღება.
2. 4 მარტი - დედის დღისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო.
3. 8 აპრილი - პოეზიის საღამი-ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები.
4. მაისი - დედაენის გაცილება-წლის შემაჯამებელი ღონისძიება.
5. ივნისი - წლის შემაჯამებელი ღონისძიება.
6. სექტემბერი - შეხვედრა პირველკლასელებთან.
7. ნოემბერი - საესტრადო სიმღერების კონცერტი.
8. დეკემბერი - საბავშვო სპექტაკლის ჩვენება.
9. დეკემბერი- საახალწლო ზეიმი.

<u>ქვიშხეთის კულტურის ცენტრის 2022 წლის ღონისძიებების ჩამონათვალი</u>

1. იანვარი - საახალწლო ღონისძიება
2. ქალთა ტრიო „თაიგული“-ს ფოლკლორის ფესტივალში მონაწილეობის მიღება
3. ფერიცვალების ტაძარში ბავშვთა მგალობელი გუნდის გამოსვლა.

გ. ბოლოკაძე,

ა(ა)იპ „კულტურისა და ბავშვთა და მოზარდთა

შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების“ დირექტორი

ულუმბო

ფრაგმენტები სოფლის ისტორიიდან

(გაგრძელება. დასაწყისი №18,19,20,21,22)

თედო ჟორდანია სათანადო ყურადღებას აქცევს საქართველოში ჯალალ-ედ-დინის შემოსევის საკითხს. მიუთითებს 1230-1231 წელს ბოლნისთან ჯალალ- ედ-დინის მარცხზე და იმოწმებს ამირეჯიბთა სიგელის შესაბამის ადგილს: „შევსწირეთ (ამირეჯიბებმა ულუმბას) წაღვლი (სოფელი) ოდეს წარგვიჩინა თვით და ამისად რუსუდან მეფემან ლაშქარსა სპარსისასა და გაგვემარჯვა; მინდორს შევიბენ და ამოვწყვიტეთ: მოვართვით (რუსუდან მეფეს) დროშა და თაჯი თვითვან მაღლისა სულთნისა (ჯალალ-ედ-დინის) გვიყო წყალობა...“

თ. ჟორდანია წერს: „შემდეგ გუჯარი მოგვითხრობს, რომ ამ ომში ნაშოვი „დროშაც შევსწირეთ მეხოიშნესა ჩვენსა (ე.ი. ულუმბის მონასტრის ღვთისმშობლის ხატს... და თაჯი (ჯალალ- ედ-დინისა) - „მრავალძალსა“.

თ. ჟორდანიამ ინახულა მრავალძლის მონასტერი: „გავსინჯე იქაური არქეოლოგიური ნივთები და მათ შორის, სასიხარულოდ, მართლა აღმოჩნდა ის თაჯი „მაღლის სულთნის“ ჯალალ- ედ-დინისა, რომელიც 1230 წლის ახლო ხანს, შეუწირავს რუსუდან მეფის მხედართმთავარს. მე - XIX საუკუნეს, ჩვენის გადაგვარების დროს, ეს თაჯი გაუცარცვავთ სამკაულთაგან, თვითონ თაჯი კუთხეში მიუგდიათ, ხელისგულისოდენა თაჯისა ჟანგს ამოუჭამია, სხვა - კი დარჩენილა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა! ჩვენ, ქართველებს სიამაყით შეგვიძლია ქვეყანას მოუთხრათ, რომ ხელთა გვაქვს ნივთიერი ნიშანი ჩვენის მკლავით დამხობისა თვით ჯალალ-ედდინის, ამ ქვეყანაში განთქმულ სულტნის, რომელს წინ ძრწოდა ოდესმე მთელი მცირე აზია, თვით მისის თავიდან ქართველთა ძლიერ მკლავით მოგლეჯილი თაჯი! ბევრს ნიშნავს ეს დღეს უბრალო გაცარცული თაჯი...“

მრავლძლის თაჯის ან დროშის ამბავი რო გაიგეს ჩემგან ადგილობრივმა მღვდლებმა, ერთმა კრებულთაგანმა გამომიტანა ტრაპეზიდან მაღალი დროშის ტარი, რომელსაც თავზე შუბიღა შერჩენოდა (ნაქსოვები კი შემოეძარცვათ) და მითხრა: აი,ამ დროშაზე იტყვიანო,ვითომ იმერლებმა ეს თვითონ შახაბასს წაართვესო! აღვივსე სიხარულით: რა თქმა უნდა, ეს ის დროშაა, რომელზედაც ზემო ნაჩვენები გუჯარი მოგვითხრობს, რომ ის ამირეჯიბს რუსუდან მეფის სარდალს, თვითონ ჯალალ-ედ-დინისათვის წაურთმევია თაჯთან ერთად და ულუმბის მონასტრისთვის შეუწირავს. ცხადია, რო შიშიანობის დროს ის დროშა ამირეჯიბებს ულუმბიდან შესანახად მრავალძალში მოუტანიათ და აქ დარჩენილა დღემდის.

ამნაირად, მრავალძალში აღმოვაჩინეთ ორი დიდი ნაშთი ჩვენის ისტორიისა, კულტურისა, ჩვენის დიდებისა...''.

ისტორიკოსი ცდილობს აღადგინოს ბოლნისთან გამართული ბრძოლის პერიპეტიები და წერს: ქართველთა ლაშქარმა „...ბოლნისს გზა მოუჭრა აუარებელს ლაშქრობას განთქმულის მხედართმთავრულის ნიჭით ჯალალ-ედდინს. ბოლნისის ხევში მინდორზე გაიმართა ისტორიული ბრძოლა მოსისხლე მტრებ შუა. ქართველ ლაშქრობას წინ უძღოდა ერთ-ერთი ამირეჯიბი, ხოლო სპარსთა ლაშქარს თვითონ გამოცდილი შაჰი განაგებდა. მოხდა საარაკო ხანგრძლივი სისხლის ღვრა. ამირეჯიბი სპარსთა რაზმის შუაგულში შეიჭრა, პირდაპირ შაჰისკენ გზა გაიკაფა. გალომებულმა რაზმმა შაჰის მთავარ დროშამდი მიაღწია, დასცა მედროშე და მისნი დამცველნი; დროშა ხელში ჩაიგდო; მხნედ მებრძოლ შაჰს შეეძგერა, შაჰს თავში უხეთქა, თაჯი გაუჩეხა და ჩამოგლიჯა. ძლივს ცოცხალი გაიყვანეს ერთგულმა საპყრებმა თავისი შაჰი. სპარსთა ჯარი აირია, გაიქცა. ქართველნი რამდენსამე დღეს დაუღალავად და გალომებულად სდევნიდნენ, ისე რომ ძლეული ჯარი შაჰისა სრულიად დაიფანტა“.

1919 – 1920 წლებში რაჭაში იმოგზაურა ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელმაც მრავალძალის ეკლესიის სიძველეებში ნახა და აღწერა ნივთები. მათ შორის იყო: „რკინის ჩაფხუტი, მძიმე, დიამეტრი 21 სმ უდრის.

რკინის შუბის პირი, დიდი, პირფართო, მოგრძო ტარიანი, სიგრძე 40 სმ უდრის. ორი ხმალი, სპარსული ყაიდის, ერთის ქარქაში შემკულია ოქროთი და თვლებით,მეორე ჩვეულებრივია. ვახუშტი ბატონიშვილის აზრით, პირველი შაჰ აბაზის შეწირულია“.

როგორც ვხედავთ,მრავალძალის სიძველეებში გვხვდება ჯალალ-ედ-დინის ე.წ. თაჯი (გვირგვინი).

მცირე ხნის შემდეგ, 20-იან წლებში მკვლევარმა გიორგი ბოჭორიძემ მრავალძალის ეკლესიაში დაცულ სიძველეებს შორის კვლავ დააფიქსირა ის ნივთები, რომლებიც ამირეჯიბებმა შესწირეს ჯალალ-ედ-დინზე გამარჯვების აღსანიშნავად.

* * *

XIII ს-ის 30-იანი წლებიდან XIV საუკუნის 80-90-იან წლებამდე გაბელიძეთა შესახებ არაფერი ვიცით. ამ პერიოდიდან ქუცნა ამირეჯიბის სიგელიდან ცნობილი ხდება, რომ იგი (ქუცნა - თ.ლ.) რამდენჯერმე წარგზავნილი იყო ელჩად კონსტანტინეპოლში. ამ დროს მან მთელი რიგი შეწირულობები გაიღო ულუმბის მონასტრისათვის:

„ვიყიდე ქუემო ბრეძა კლიმიჩაძისაგან და შევსწირე პატიოსანსა ულუმბისა ღმრთისმშობელსა და განუჩინე აღაპი ჩემი და ჩემის შვილის რამინისათვინ. საღუალაშენი, ჩიხლაძისაგან კუჭაჭისათვის მისყიდული, ახალდაბისათვის მომცა, ვითაცა ახალდაბა კუჭაჭისაგან ჩემი ნასყიდი იყო. მისად სანაცვლოდ ახალდაბა თუმანიშვილსავე მისცა, ძულითგან მათი ყოფილიყო''.

სიგელში ლაპარაკია ქუცნა ამირეჯიბის კონსტანტინეპოლში ელჩობიდან მესამედ მოსვლაზე. ამ ფაქტს ქუცნა ამირეჯიბი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რადგან მის ქალიშვილს, საქართველოს დედოფალს, ნათიას შეძენია ძე, - ალექსანდრე, - საქართველოს მომავალი მეფე, ალექსანდრე დიდად წოდებული.

ქუცნა ამირეჯიბი, ნათია დედოფლის მამა, საქართველოს მეფის - კონსტანტინე პირველის სიმამრია.

შვილიშვილის შეძენის აღსანიშნავად ქუცნა ამირეჯიბმა ულუმბის მონასტერს შესძინა სოფელი ღოღეთი, აგრეთვე დააწესა აღაპი ნათიასათვის. იგი ამასთან დაკავშირებით სიგელში წერს:

„მესამედ რომე მოველ კონსტანტინეპოლით, კახეთით დ(ე) დ(ო)ფ(ა)ლი ნათია ვით უბედოქმნილ იყო და შეეწყალა პ(ა)ტ(იო)ს(ა)ნსა ულუმბისა ღ(მრთ)ისმშობელსა და მიეცა ძე. მოუტანა საქონელი ურიცხ(ვი). ჩემდა მოსულამდი ბიძას ჩემს ალუქბარს მიეყიდნა ღოღეთი და შეეწირა ულუმბისა ღ(მრთ) ისმშობლისათ(ვ)ს.

ვიწყინე და არ ვიკადრე განსყიდვა მამულისა. მივეც საქონელი ურიცხ(ვი) და დავიხსენ სოფელი ღოღეთი და არცაღა გამოვსწირე. გ(ა)ნუახლე გუჯარი. ახლავე გ(ა)ნუჩინე აღაპი ერთი დ(ედო)ფლის(ა) ნათიასათვის. აიღებდენ მეხუთედსა მოდსა და ერთსა გუთანს ჩ(უც)ნსა შეინახავდენ. რ(ომელ) იცა გამოვიდოდეს, მოუტანდენ ულუმბას და მოძღუართ-მოძღუარი, რ(ომე)ლსაცა დღეს ამ(ა) სვინაქსარსა შ(ინ)ა ეწეროს, აღაპს გარდაიხდიდეს. ღოღურის მოდისგ(ა)ნ ზოგსა მონაზონს მისცემოდით და მოგზაურს აჭმევდით''.

* * *

განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა საქართველსთვის XIV-XV საუკუნეების მიჯნა, როდესაც თემურ-ლენგის გამანადგურებელმა შემოსევებმა უდიდესი ზიანი მოუტანა ქვეყანას, მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებას. 1386-1403 წლებში თემურ-ლენგმა 8-ჯერ დალაშქრა საქართველო.

ჟამთააღმწერელი თავის თხზულებას, „ასწლოვან მატიანეს“, ასე ამთავრებს: „და იწყო მთიებმან აღმოჭვირვებად, ხოლო მე ენა ვერ მიძრავს საკვირველისა და საშინელისა თქმა“.

მეორე ისტორიკოსი, ბერი ეგნატაშვილი, თემურ ლენგის შემოსევების შემდგომ პერიოდზე წერს: „და დაასრულა ლანგ-თემურ მოოხრება ქართლისა და წარვიდა სხვათა ქვეყანისა დაპყრობად... ხოლო ჩუენ აღვწერეთ ყოველივე მოსვლა მისი ქართლად და აოხრება ქართლისა, რომელი არა სადა მოწევნილი არს ქართლსა ზედა ჭირი ესევითარი, რაოდენი ამან მოაწივა“.

მემატიანეთა ამ სიტყვებში კარგად ჩანს, თუ როგორი დიდი ზიანი მოუტანა თემურ-ლენგმა საქართველოს. თუ პირველ შემთხვევაში მემატიანე ენას ვერ ძრავს „საკვირველისა და საშინელისა თქმად“, მეორე შემთხვევაში სახეზე გვაქვს „საკვირველისა და საშინელის“ შედეგი - „არა სადა მოწევნილ არს ქართლსა ზედა ჭირი ესევითარი“, როგორც თემურ-ლენგმა „მოაწივა“.

ქართველი ხალხი წინ აღუდგა სასტიკ დამპყრობელს და სათანადო წინააღმდეგობაც გაუწია. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, სიძნელეს არ წარმოადგენს წარმოვიდგინოთ შედეგი, რაც ამ შემოსევებს მოჰყვებოდა. ქართველი ხალხის წინააღმდეგობამ აიძულა თემური ზავი ეთხოვა საქართველოს სამეფო კარისათვის. ეს მაშინ, როცა სასტიკ დამპყრობელს მანამდე არავისთან ჰქონდა დადებული საზავო შეთანხმება. ეს მის დაპყრობით ომებში პირველი და უკანასკნელი შემთხვევა იყო.

ბერი ეგნატაშვილი წერს:

„და მოიწივნეს ლაშქარნი მისნი და იავარ-ყვეს და მოაოხრეს ყოველივე საქართველო, შემუსრეს დაარღვივეს წმინდა კათოლიკე ეკლესია მცხეთისა, და მიიწივნეს მუნით ქუაბთა-ხევსა, და შეიპყრეს მუნ მყოფნი კაცნი, მამანი და დედანი, მღდელნი და დიაკონნი და მონაზონნი, და შეამწყუდიეს ტაძარსა წმიდისა ქუაბთა-ხევისა ღ-თისმშობლისასა. შეუგზნეს ცეცხლნი შინაგან ეკლესიისა და დაწვეს, რომელიცა იყოფებოდეს ეკლესიასა მას შინა. და ვიდრე დღეინდელად დღემდე იხილვების შინაგან იატაკსა ზედან წმიდისა ეკლესიისასა და დამწვარნი სახენი მათნი დღესაცვე ზედან სხენან“.

თემური ამ ლაშქრობის დროს ხაშურის რეგიონამდე, რუისამდე მოვიდა. შედეგი ძალზე მძიმე იყო:

„და აღიყარნეს მუნითგან და წარვიდენ ზედა და, სადაცა ვინ იხილეს კაცნი და შენობა, მოსრეს და აღაოხრეს ყოველივე.

და მოიწივნეს რუისსა და მოიცვეს იგიცა, და იავარ-ყვეს და ეკლესია წმიდისა ღ-თაებისა ძირითურთ აღმოფხურეს, და მოაოხრეს ყოველივე ქუეყანა.

(გაგრძელება იქნება)

ნინი ხაჩიძე - სურამის მეორე საჯარო სკოლის წლევანდელი კურსდამთავრებული - ბიოლოგიის საერთაშორისო ოლიმპიადისთვის ემზადება, რომელიც არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ივლისში გაიმართება

ნინი ხაჩიძე: - განათლების საერთაშორისო ოლიმპიადა არის განათლების სამინისტროს პრიორიტეტად აღიარებული საერთაშორისო შეჯიბრი ბიოლოგიაში და განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით,

ოლიმპიადაში მონაწილეობას იღებენ მიმდინარე სასწავლო წელს ბიოლოგიის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მოასპარეზე წარმატებული ბავშვები. ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა სამ ტურად მიმდინარეობდა სკოლის მოსწავლეებს შორის, რა დროსაც 50 საუკეთესო მოსწავლე გადავიდა მესამე ტურში. აქედან კი საუკეთესო ოცეულს ჩაუტარდა დამატებითი ტესტირება შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით ორ ტურად. შედეგად, შეგვარჩიეს ოთხი ბავშვი, რომლებიც ორ კვირიან წვრთნას გავივლით შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდში და 3 ივლისს გავემგზავრებით ემირატებში საერთაშორისო ოლიმპიადაზე საასპარეზოდ, რომელიც 11 ივლისს დასრულდება. ოლიმპიადის ფარგლებში იქნება თეორიული და პრაქტიკული გამოცდები, პარალელურად-ტრენინგები, ექსკურსიები.

ინტერვიუს მსვლელობისას ნინის თან ახლდა დედა, ქალბატონი ეკატერინე ქურდაძე, რომელიც ძალიან ამაყია შვილის მიერ მიღწეული წარმატებებით და სიამოვნებით საუბრობს ნინის ინტერესებზე, რომელიც მისი ბავშვობიდან მოდის. ქალბატონი ეკატერინე დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის ემირატებში დაგეგმილი ოლიმპიადის შესახებ.

- ბოლოგიის საერთაშორისო 34-ე ოლიმპიადაში 80 ქვეყანაზე მეტი იღებს მონაწილეობას,რომელშიც საქართველო რამდენიმე წელია ჩაერთო. 17 ივნისიდან, როგორც საუბრისას ნინიმ აღნიშნა, იწყება ორკვირიანი მოსამზადებელი პერიოდი და მეტი დეტალი გახდება ნინისათვის ცნობილი ოლიმპიადის შესახებ. ერთი კი უკვე ცხადია: ეს იქნება

ერთკვირიანი ღონისძიება ოლიმპიადის პრინციპით: გახსნის ცერემონიით, ტრენინგებით, გამოცდებით, ტურებით გაერთიანებულ ემირატებში, დაჯილდოვების და დახურვის ღონისძიებით. ნინის, თანატოლებთან ერთად, ოლიმპიადის მსვლელობისას ქალაქი ალაინი უმასპინძლებს.

NTERNATIONAL BIOLOGY OLYMPIAD e. V. IBO

წელს, განათლების სამინისტრომ ნინი თბილისის სსახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში უგამოცდოდ, სრული დაფინანსებით ჩარიცხა.

საამაყოა და უზომოდ სასიხარულო, რომ საქართველოს, საერთაშორისო ოლიმპიადაზე, რუსთაველ,მცხეთელ და ქუთაისელ მოსწავლეებთან ერთად, სურამელი გოგონა წარმოადგენს. მით უფრო, რომ რეიტინგით, მათ შორის, ნინი ლიდერობს.

განსაკუთრებით დიდი ემოციებით,ოჯახთან ერთად,ნინის წარმატებას სკოლა და სკოლის დირექტორი შეხვდა. ნინის დედა იხსენებს, რომ სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა დალი ბროლიძემ, რომელიც იმხანად ავადმყოფობდა, სიხარულით აღნიშნა, რომ ნინი მისი წამალი გახდა თავისი წარმატებული ასპარეზობით სასწავლო ეროვნულ ოლიმპიადაში.

დედა, იხსენებს, რომ დაწყებითი კლასებიდანვე ნინის განსაკუთრებით უყვარდა ბუნებისმეტყველება. ძალიან დაინტერესებული იყო საგნით და

გამუდმებით ჩართული იყო სხვადასხვა აქტივობებში. პედაგოგისგანაც ითხოვდა, მეტი ცოდნა მიეღო ბუნებისმეტყველებაში.

ნინი:

- დაწყებითებში ყველა საგნის მიმართ დიდი ინტერესი მქონდა, მართლა მიყვარდა სკოლა და სწავლა. აი,მეშვიდე,მერვე კლასიდან უკვე საბუნებისმეტყველო საგნებისადმი გამოიკვეთა ჩემი განსაკუთრებული ინტერესი. დავიწყე სკოლის გარეთაც,ამ კუთხით,ინფორმაციების მოძიება, ვიცოდი,რომ საბუნებისმეტყველო საგნებიდან რომელიმე მინდოდა,რომ შემასწავლა სამომავლოდ და შემდეგ, ისე გამოვიდა, რომ ბიოლოგიის სწავლა უფრო გამიადვილდა, მეტად მარტივად ვსწავლობდი.

- სხვა რა ინტერესები მაქვს სწავლის გარდა? მუსიკას ვუსმენ ხოლმე და... უფრო მარტო ყოფნა მირჩევნია ჩემს დიდ გატაცებასთან ერთად...

- გეგმები მომავალში? გეგმებს ვერც ვუწოდებ. მგონია, რომ გზა თვითონ აჩვენებს. ესეც ისე, თავისით მოვიდა, რომ.... რაც მართლა გიყვარს,მგონია რომ ყოველთვის გამოჩნდება რაღაც გზა... ეს წარმატებაც თავისით მოვიდა, დაგეგმილი არ მქონია ნამდვილად და ახლაც, რაღაცა გამოჩნდება, რა უნდა ვაკეთო... ვიცი რომ სწავლას გავაგრძელებ თბილისი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის პროფესიაზე.

დასასრულ ნინის კიდევ ერთ საუკეთესო შედეგზე გეტყვით. ინტერვიუს მზადებისას, ნინიმ მომწერა, რომ წინა დღით მისთვის ცნობილი გახდა, რომ ,,კინგსის" ოლიმპიადის პირველადგილოსანიც არის, საქართველოს მასშტაბით, ქართულ ენაში.

წარმატებებს ვუსურვებთ ნინის და დარწმუნებულები ვართ, ემირატებიდანაც გაიბრწყინებს ღირსეულად მისი სახელი.

თეა ახალკაცი

- მ უ ს ი კ ა -

ხაშურის მე-3 საჯარო სკოლის მომღერალთა გუნდის უდიდესი წარმატება

ხაშურის ილია ჭაჭავაძის სახელობის მე-3 საჯარო სკოლასთან არსებულმა სამუსიკო გუნდმა საუკეთესოდ იასპარეზა ონლაინ საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებში და სერთიფიკატებით და ისრაელსა და ინგლისში მიწვევებით დაჯილდოვდა. ხაშურის სამუსიკო სკოლის ფორტეპიანოს პედაგოგი და ხაშურის მესამე საჯარო სკოლის მუსიკის პედაგოგი ნანა ლორთქიფანიძე:

- საერთაშორისო ონლაინ კონკურ-ფესტივალში,ფატი სადაღაშვილის დამსახურებით ჩავერთეთ ამ ეტაპზე, თუმცა მანამდე ამ გუნდს ჰქონდა ძალიან დიდი გამოცდილება იმიტომ, რომ მონაწილეობას ღებულობდა საგუნდო საზოგადოების მიერ დაფუძნებულ საგუნდო კონკურს-ფესტივალებზე და წლების განმავლობაში, ჩვენ სულ ვიყავით

საქართველოს მასშტაბით, გუნდებს შორის მეორე ადგილზე. ეს არის აკადემიური ნომინაცია კლასიკური სიმღერის ცოცხალი შესრულებით. წინა თაობის გუნდის გამოსვლა „იუთუბზეც“ კი არის ატვირთული. ხაშურში კიდევ ყველა შემოქმედებით ღონისძიებაში ვიღებთ მონაწი;ეობას აქტიურად. სასკოლოზე ხომ აღარ ვამბობ არაფერს.

პირველიდან მეცხრე კლასის ჩათვლით, 21 მოსწავლისაგან შემდგარ მესამე საჯარო სკოლის გუნდში არიან როგორც გამოცდილი, ასევე ახალბედა წევრები, რომლებიც ერთი წლის წინ შემოურთდნენ გუნდს. მაგრამ მათაც საკმაოდ თამამი ამბიციები აქვთ რომ შეუძლიათ სიმღერა. სკოკლასთან არსებული გუნდი უკვე მრავალი წელია არსებობს, მათ რეოპერტუარშია, ძირითადად, ქართველი კომპოზიტორების შემოქმედება.

- ქართული სიმღერა მე ვფიქრობ, სულიერი საზრდოა ბავშვებისათვის. სამარცხვინო მიჯაჭვულობა უცხოური სიმღერისადმი, არასწორი დამოკიდებულება ქართული ხალხური და კლასიკური სიმღერისადმი, მე ვფიქრობ, რომ უნდა დაბალანსდეს და უნდა გამოსწორდეს ეს დამოკიდებულება მოზარდ თაობაში. თუმცა კი, ჩვენს რეპერტუარში არის ინგლისური, მაგრამ მიუზიკლებიდან ძირითადად, კლასიკურ სტილამდე მიყვანილი სიმღერებია და რაც მთავარია, არის გარკვეული ბალანსი დაცული, რომ არის უფრო მეტი ქართული სიმღერები და ინგლისური სიმღერები. ძირითდად, მაინც ვცდილობთ, რომ ქართველობა არ დავავიწყოთ თუნდაც გუნდის ბავშვებს. და შემდეგ უკვე გადამდებია... დღევანდელ გუნდში, ჩემდა საამაყოდ, ბიჭები ჭარბობენ. ქართველი კაცის მიერ ნამღერი სიმღერა სულ სხვა ემოციას და შეგრძნებას იწვევს. არ შეურაცვყოფ გოგონების ხმას. მათი ხმა უფრო წკრიალა და ბრილიანტებივით არის მიმოფენილი, მაგრამ კაცის დუდუნა, „დუდღუნა“ ხმა არის წონა, რომელსაც ვერ გავექცევით. ჩვენი გუნდის დევიზია „ერთი ყველასათვის და ყველა - ერთისათვის. ერთი მღერის ყველასთვის და ყველა მღერის ერთისთვის. ეს ძალიან დიდ ძალას მატებთ ბავშვებს.

საერთაშორისო ონლაინ კონკურსები აპრილ-მაისის თვეში ჩატარდა ისრაელში და ლონდონში და გუნდმა ელექტრონული დიპლომები და სერთიფიკატი დაიმსახურა.

- მე „ვითავხედე“ სიმართლე გითხრათ და ჩემთან მოსული დიპლომები ბავშვებისთვისაც დავამზადებინე და მათაც დავურიგე. ეს მათთვის ძალიან დიდი სტიმულია, აღიარების ერთ-ერთი დამადასტურებელი. მე არ გამიკეთებია ეს მარტო,მე ეს მათთან ერთად გავაკეთე.

- როგორი იყო მათი ემოცია? ვაიმე, ეს იყო საოცრება. როდესაც დაიწერა, რომ ჩვენ შესარჩევი გადავლახეთ და უკვე ფინალურ ტურზე გადავედით,იყო სიჩუმე და მერე კივილი,მოულოდნელი სიხარული,ჩვენ

უკვე ფინალში ვართ! საფინალო ტური იმართება ისრაელში, 5 ივლისს, მაგრამ, ფინანსებიდან გამომდინარე, ვერ ვახერხებთ გამგზავრებას. ძალიან დიდ თანხებზე არის საუბარი. ზოგიერთი ოჯახიდან ორი ბავშვი არის გუნდის წევრი და ფინანსურად ოჯახისათვის ეს ძალიან დიდი ტვირთია. არ ვიცი, რამდენად დაინტერესდებიან, მაგრამ რეალურად ხაშურს თუ ეყოლება ვინმე გულისხმიერი ადამიანი, რომ ასეთი ნიჭიერ ბავშვების მეცენატი იყოს, კარგი იქნება. ხაშურის, ქალაქის სახელი გაიტანოს საზღვარგარეთ, ეს დიდი აღიარება იქნება ყველასათვის. დიპლომში დატანილია წარწერა საქართველო, ხაშური. ეს ბავშვები არიან მართლა საამაყოები. ცდილობენ გააკეთონ ერთად მნიშვნელოვანი და ქალაქი, ქვეყანა ასახელონ. ცოტა უხერხული ფრაზაა, მაგრამ როდესაც „მზიური“ გამოვიდა არტეკში, ბრეჟნევს ჰქონდა ასეთი ცნობილი ფრაზა „აჩვენეთ ეს ბავშვები მსოფლიოს და აღარ იქნება ომი“. აჩვენეთ მსოფლიოს ხაშურლები და იქნებ ხაშურლებზე აღარ „იღადაონ“, აღარ „იშაყირონ“ და უფრო სერიოზულად და კარგი თვალით დაუწყონ ხაშურს და ხაშურლებს ყურება. ეს დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს სამუდამოდ.

ხაშურის მესამე საჯარო სკოლასთან არსებული გუნდის გამოსვლა ონლაინ კონკურსზე „იუთუბ“ არხზე განთავსდა და მიწვევა ჰქონდათ ინგლისშიც, თუმცა, ისევ და ისევ ფინანსური მხარიდან გამომდინარე, გუნდი ვერ გაემგზავრება. ონლაინ კონკურსზე გუნდი იყო ქართული სულის მატარებელი. მის რეპერტუარში იყო ორი ქართული სიმღერა. კახიძის „ჰერიო ბიჭებო“ და აზარაშვილის „სხვას არაფერს არ ვინატრებ“. გუნდის ხელმძღვანელი ნანა ლორთქიფანიძე თვლის, რომ ეს იყო სწორი გადაწყვეტილება, რომ მოესმინა საზოგადოებას ქართულად ქართველების ნამღერი სიმღერა. ინტერვიუს დასასრულს ქალბატონმა ნანამ იმედი დაიტოვა რომ გუნდის შემადგენლობა კიდევ უფრო გაიზრდება



- იმედი მაქვს,რომ წელს თუ 21 ბავშვი დგას,გაისად მოგვემატებიან, იმიტომ, რომ ადამიანს, რომელსაც უყვარს თავისი ქვეყნის სიმღერის მოსმენა, ქართული სიმღერის გაგება და ქართულად თუნდაც ერთი მელოდიის ჩახუჭუჭება, ის ადვილად ხელს არ აწევს არავიზე, არ მიაყენებს ტკივილს და მრუშ სიტყვასაც არ წარმოთქვავს.

და კიდევ ერთი... გუნდი რეპეტიციებს თავად ქალბატონი ნანას სახლში გადის. როგორც თავად ხუმრობს,კონცერტი ოჯახს ყოველ შაბათ კვირას აქვს და მსმენელსაც, დაინტერესების შემთხვევაში, გულითადად იწვევს თავისთან. მადლობას უხდის გუნდის წევრების მშობლებს თანადგომისათვის. რაც შეეხება მათ სამომავლო გეგმებს, გუნდი უკვე ზაფხულის არდადეგებზე მიდის და სექტემბრიდან გეგმავენ უფრო სერიოზულად მუშაობას.

თეა ახალკაცი

„შიდა ქართლის ზაფხულის თამაშები 2023 “ -ის ფარგლებში, ხაშურში მარათონული გარბენი გაიმართა

აქტივობამ, სტარტი, აღმაშენებლის ქუჩის დასაწყისიდან აიღო და ფინიში - გმირების ხეივანთან- პირველი საჯარო სკოლის მიმდებარედ იყო.

მარათონის გამარჯვებულებს და საპრიზო ადგილებზე გასულებს, თასები, მედლები და სიგელები გადასცა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მარათონის ინიციატორი იყო შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაცია, ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახური და ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა.

„შიდა ქართლის ზაფხულის თამაშები 2023 “ -ის მიზანი, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და პოპულარიზაციაა.

მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში

ხაშურის 1 საჯარო სკოლაში გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში,რომელშიც 170-მა მოსწავლემ და უფროსმა მიიღო მონაწილეობა. ტურნირს მსაჯობდა ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის მწვრთნელ- მასწავლებელი ჭადრაკში ალექსანდრე ჭადაშვილი.

საპრიზო ადგილებზე გასულები დიპლომებით და საჩუქრებით დააჯილდოვეს

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა, 1 საჯარო სკოლის დირექტორმა მორის დანდურიშვილმა, მერიის კულტურის, განათლებისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელმა კონსტანტინე ფრუიძემ და განყოფილების ხელმძღვანელმა ბესიკ გაჩეჩილაძემ, სიგელები გადაეცა ტურნირის ყველა მონაწილეს. სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები,

აღსანიშავია,რომ ტურნირის გამარჯვებულთა შორის იყვნენ შვილებიც და მშობლებიც. გამარჯვებულთა ფინალი 1 საჯარო სკოლის მოედანზე არსებულ ჭადრაკის მაგიდაზე გაიმართა.

შეჯიბრის ჩატარებას ხელმძღვანელობდა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების,კულტურისა და სპორტის სამსახური და ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა.

„მხიარული სტარტები“ წაღვლში

15 ივნისს, სოფელ წაღვლის ახალ სტადიონზე ალტერნატიული ბაღის აღსაზრდელებისა და მათი მშობლების მონაწილეობით „მხიარული სტარტები“ გაიმართა. აქტივობა ბაღის პედაგოგის მელანო ტალახაძისა და ა(ა)იპ „ხაშურის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ჩართულობით ჩატარდა. აქვე წარმოდგენილი იყო ნახატები და ხელნაკეთი ნივთები.

ღონისძიებაზე მიწვეულები იყვნენ ა(ა)იპ „ხაშურის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ხელმძღვანელი ლელა გელაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მაკა დიდებულიძე.

სხვადასხვა სახალისო სპორტულ თამაშებში ბავშვებთან ერთად აქტიურობდნენ როგორც მშობლები, ისე პედაგოგები.

ლამაზი და ფერადი დღის მონაწილეებს ა(ა)იპ „ხაშურის საბავშვო ბაღების გაერთიანებისგან“ საჩუქრები და სიგელები გადაეცათ.

ხაშურის სამუსიკო სკოლასთან არსებული სიმებიანი კვარტეტი მე-7 საჯარო სკოლას ესტუმრა -

პროექტის მიზანია კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია ახალგაზრდა თაობაში.

ამ პროექტით კვარტეტი ესტუმრება ქალაქ ხაშურის ყველა საჯარო სკოლას.

სექტემბრიდან იგი შევა სურამის სკოლებში.

კონცერტი იმით იყო გამორჩეული,რომ კვარტეტთან ერთად ნაწარმოები შეასრულა ამავე სკოლის მოსწავლემ ოთო ფრუიძემ, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა თავისივე მასწავლებლებსა და მეგობრებში. კონცერტმა, რა თქმა უნდა, წარმატებით ჩაიარა და სკოლის დირექტორმა გამოთქვა სურვილი,კვლავ უმასპინძლოს მსგავსი კონცერტით კვარტეტს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.